ცანცი

№ 17

ხუთშაბათი,

23 ივლისი

1909 წელი

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ერთსვეტიანი პატარა ტრიჭონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 სამდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ტკრცმრუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს** და **მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალური წერილებზე გთხოვთ შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილებით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკებიან წერილში სუფთათ უნდა იქნას დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთის ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი **№ 3** ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

სათავად-აზნაურო საშაფხულო თეატრი

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ

თეატრის სცენაზე იმართება

ქალების ჭიდაობა

ეს ჩემპიონატი ქალების ჭიდაობისა მთელი ევროპის და ამერიკის დიდს ქალაქებში ყოფილა და დიდი სახელი მოუხვეჭია. ჭიდაობის წინ

სინემატოგრაფი

მშვენიერის არჩეულის სურათებით. დაბოლოს შესანიშნავი ეფექტიური სანახავი

სატანა და ვენერა

ამ სანახაობას მთელი ქვეყანა დავლილი აქვს და ყველა მაცქერალი განცვიფრებაში მოყავს

ფასები ორი აბაზიდან **2 მან. 25 კაპ.**

დასაწყისი სდება 9 საათზე

პოლიციური ეკონომია

ა ბოგდანოვი -ზე

(მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა).

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდათ არ

გამოვა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ, ვისაც ხსენებული წიგნის შეძენა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი. ვ. გადილია. 5—3

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. გ. ფელდროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შვაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ბ. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომბარელი: ყოველ ღღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—18

დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. **ჯაში.** ავათმყოფების მიღება **ყოველ დღე.**

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—8)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

ქ. ქუთაისში

გაზეთი „ვარსკვლავი“ დროებით იხურება. ამ მოკლე ხანში გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა. წლიური და თვიური ფასი იგივე იქნება, მხოლოდ ცალკე ნომერი ღირება **5** კაპ. საჭიროა გამოცდილი ასოთ-ამწყობები.

ადრესი: Кутаисъ, редакція „Варсквлави“. (3—3)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (ციროჩნი ქუჩის ახლოს)

ქ. ბაქოში

კვირას, 26 ივლისს

ბალახანის კრუჟოკში

დრამატიული ხელოვნების მოყვარე მუშათა ჯგუფის მიერ მოწვეულია ქართველების საზოგადო კრება. გასარჩევი საკითხი: დრამატიული საზოგადოების დაარსება ბალახანაში. (2—1)

თფილისი, 23 ივლისი

პეტერბურგში ივლისის პირველ რიცხვებში ჩამოინგრა ვინმე ზალემანის სახლი და ნანგრევებს ქვეშ მოყვა რამდენიმე ათი კაცი. მსხვერპლთა რაოდენობა დანამდვილებით არავინ არ იცის. რამდენიმე დღეა, რაც ნანგრევების ქვეშ ეძებენ მკვდრებს, ბევრს ნახულობენ და ბევრი ჯერაც ვერ უნახავთ. როდესაც კითხულობ გაზეთებში, როგორი სიფრთხილით დაეძებენ მუშები ზალემანის მსხვერპლებს ნანგრევებში, როგორი შიშით და სიფრთხილით თვით ინჟენრები ხელმძღვანელობენ ამ ძებნის დროს, რათა თვით არ შეიქნენ მსხვერპლი მეტი კედლების კვლავ მოსალოდნელი ჩამონგრევისა, სახტათ რჩები, არ იცი რა ქნა, ვის მიმართო?! სად იყვენ ეს ინჟინრები, ეს გამომძიებლები, ეს პოლიციელები, ქალაქის მამები და სხვები, როდესაც ზალემანი თავის შვიდ-სართულიან სახლს აგებდა პეტერბურგის გამოჩენილ ადგილზე? სად იყვენ ყველა ესენი, როცა პირველათ, მეორეთ და ახლა მეოთხეთ უხდება იმავე ზალემანს ამგვარი საქმე? ზალემანი მდიდარი კაცი უნდა იყოს, მას პიტერში რამდენიმე შენობა აქვს, მას ასეთი საქმე, ჰოი საკვირველებავ, მეოთხეჯერ ემართება. ზალემანი ყურსაც არ იბერტყს და თავისთვის არჩეინათ არის, რას წარმოადგენს მისთვის მშიერ-მწყურვალეთ და უპატრონოთ დარჩენილი ცოლ-შვილი ნანგრევებში მოყოლილ მუშათა? რას ნიშნავს მისთვის მათი შეუშრობელი ცრემლი? რას წარმოადგენს მისთვის ყველა ცოცხლათ დარჩენილების სიკვდილიც? არაფერს. ის სადღაც მიმალულია, მისთვის, ყველა გაზეთების, გაბურჩევლათ მიმართულებისა, ამ საშინელ ამბის გამო გოდება, სრულიათ არ არსებობს—არც ავს ამბობს და არც კარგს. ან რა მოეთხოვება ისეთ ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში დაუსახავს ერთათერთი მიზანი—გამდიდრება და ამ მიზანს ყველაფერს ანაცვალებს: ნამუსს, ზნეობას, პატიოსნებას. ასეთ ადამიანებს დავიწყებული აქვთ ყოველგვარი რიგიანობა, სხვისი სიყვარული, სხვისი პატივისცემა; მისი კერპია ფული, ის მასზე იწერს პირჯვარს.

თუ ასეთია ზალემანების არსება, თუ ასეთია მათი მისწრაფება, საზოგადოება ვალდებულია ხმა აღიმაღლოს მათ წინააღმდეგ, მათ გაუმაძღრობას თუ ბოლო არა, საზღვარი მაინც დაუდვას და იხსნას ყოვლად უბრალონი, დღიური ლუკმაპურის მაძებარნი იმ ხვედრისაგან, რაც წილათ ხვდათ ზალემანის სახლზე მომუშავეთ. ვინ უნდა იდვას თავს ასეთი მოვალეობა? ქალაქის დებულება ამგვარ მოვალეობას აკისრებს ქალაქის საბჭოებს, რომლებიც კანონის ძალით ვალდებულნი არიან იყოლიონ ინჟენრები და ტეხნიკები, ყველა შენობის აგების დროს თვალ-ყურის მდევნელები. ტეხნიკებმა მაშინვე უნდა აღკვეთონ ყოველგვარი მუშაობა, როგორც კი შეამჩნევენ საამშენებლო წესდების დარღვევას. აი მათი პირდაპირი დანიშნულება, მოვალეობა და უფლება. საუბედუროთ, ეს კანონი არსებობს მხოლოდ ქალალდზე და ცხოვრებაში „ბედნიერ შემთხვევაში“ აქვს ადგილი: პატარა ქალაქებში ამის მოწმეა ყველა ჩვენგანი და ეს არც იმდენათ იქცევს ყურადღებას. როცა ინგრევა პატარა კედელი ერთსართულიანი სახლისა, მსხვერპლი თითქმის არაა და თუ არის, ისიც უმნიშვნელო, მაგრამ როცა შვიდსართულიანი სახლის კედლები ერთბაშათ ინგრევა, ეს სულ სხვაა და შედეგებიც საშინელია. ასეთი უყურადღებობა, ასეთი ბოროტება ქალაქის გამგეობის და მისი ტეხნიკების მხრით პოლულობს ახსნას იმ საარჩევნო კანონში, რომელიც საფუძვლათ უდევს ყველგან რუსეთში ქალაქის თვითმართველობებს, რომლებშიაც გაბატონებულია ზალემანები და მისი მსგავსნი, ქალაქის თვითმართველობაც, ქალაქის გამგეობაც და გამგეობის მიერ დაყენებული ტეხნიკოსებიც, ყველანი ერთათ აღებულნი—ერთი მეორეზე გამოჭრილნი არიან, არც ერთი მათგანი არ აფასებს მუშათა სიცოცხლეს და მთელი უბედურებაც აქედან გამომდინარეობს. ხელი ხელს ბანსო და ორივე პირსაო, ამაზე იტყვიან.

თუ გადავალთ ქალაქის თვითმართველობიდან და შევეხებით საერთო კანონმდებლობას და სახლის პატრონების პასუხისმგებლობას, აქაც ასეთსავე არა სანუგეშო სურათს დავინახავთ. სახლის პატრონნი პასუხისმგებელნი სრულიათ არ არიან, პასუხისმგებელია კანონის ძალით ის ინჟინერი, რომელიც დაქირავებული ყავს სახლის პატრონს, ზალემანები კი თავისუფალნი არიან. მათ შეიძლება დაობლებულ ცოლ-შვილთ რამდენიმე წლის შემდეგ სამოწყალოთ რამდენიმე გროში გადაუგდონ და მეტი არაფერი. ასეთი უნუგეშო მდგომარეობა ყოველივე მხრით აიძულებს მუშებს იქონიონ მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი. რა უშველის მათ? მტკიცე პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც დაავალებს ზალემანებს, რათა სანდისიერ ინჟინერ-ტეხნიკის მეთვალყურობის ქვეშ ხდებოდეს ყოველივე შენობის აგება, რომ მუშათა ოჯახი უბედური შემთხვევისაგან უზრუნველყოფილ იქნეს. მეორე საზრუნველი საგანი მუშათათვის არის სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი თვითმართველობების დემოკრატიულ ნიადაგზე აგება. სანამ მუშათა ბედ-იღბალი იქნება დღევანდელ ქალაქის თვითმართველობების და ბიუროკრატიის ხელში, ზალემანები კიდევ ბევრ მსხვერპლს შეიწირავენ.

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.

II.

(გაგრძელება).

როცა რევოლიუციონერებმა შაჰის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება შეაჩერეს, შაჰი და მისი დამხმარე გარეშე ძალებიც დაშოშმინდენ. ისინი აშკარათ ხედავენ, რევოლიუციონერთ გამოცდილება აკლიათ და ამის თავის მიზნისათვის გამოყენებას შეუდგენ. მეჯლისის მოწვევას აგვიანებენ. შაჰი კი ძველებურათ სამხედრო მზადებას განაგრძობს. როგორც იყო, საარჩევნო კანონის პროექტი შეიმუშავეს. ამ პროექტის ძალით საარჩევნო უფლება ეძლევა იმას, ვისაც 100 სპარსული თუმანი წლიური შემოსავალი აქვს. ამნაირათ, ხალხს საარჩევნო უფლებას ართმევენ და თან ორ საფეხურიან არჩევანს აკანონებენ! მარა ამ კანონის გამოქვეყნებასაც აგვიანებენ, ენჯუმენებმა გაარჩიოსო. შეიძლება შაჰმა მართლა დესპოტობა უარყო და ხალხის ორგანიზაციას ცნობს? მარა ეს ხომ თავისი თავის უარყოფაა, შაჰს კი თავის უფლებათა დაცვაში ბადალი არა ჰყავს. აშკარაა, ეს დიპლომატიური ხრიკია: შაჰი ხალხის ორგანიზაციას მიმართავს, აიშლებიან, მე კი დროს მოვიგებო. Divide etimpera! (დაქსაქსე, რომ იბატონო!)—აი დესპოტიზმის ძველი და მუდამ ახალი ბრძოლის იარაღი.

მათდა საუბედუროთ და ხალხის საკეთილდღეოთ დესპოტები ივიწყებენ, რომ ცხოვრება იცვლება და წინ მიდის. დაქსაქსვა შეერთებას წარმოშობს. და აი, სპარსეთის ხალხიც შაჰის პოლიტიკამ საშინლათ გააბრაზა და დაქსაქსული ძალები შეაერთა და მით მოძრაობა მრისხანე ტალღათ აქცია. ამას ხელს უწყობს უცხოეთის ჯარი. მან თავი მოიკალთა, როგორც დაპყრობილ პროვინციაში, რევოლიუციონერებს იარაღს ართმევს და არბევს და მით სპარსეთის რევოლიუციის საქმეს აკეთებს. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ მაჰომედ-ალი უცხო სახელმწიფოთა საქმეს აკეთებს. ამიერიდან დესპოტიზმის დამხობა და სპარსეთის დამოუკიდებლობა—ერთი მეორესთან მჭიდროთ შეკავშირებულია და სპარსეთის რევოლიუციის დიდ დროშაზე აღბეჭდილია.

ამ დროშის ქვეშ ახალ-ახალი რაზმი იყრის თავს და გადამწყვეტი ბრძოლა იწყება. ვინ მეთაურობს ამ ბრძოლას?

თავრიზი—რევოლიუციის ნამდვილი მეთაური მკვდარია. ის ძლიერი იყო შინაურ, მოქალაქეთა თავგანწირვითა და შეიძლება, კიდევ უფრო, კავკასიელ რევოლიუციონერთა დახმარებით. კავკასთა სპარსეთს რევოლიუციონურ გამოცდილებას ასწავლის. კავკასიელთა დიადი როლიც სპარსეთის რევოლიუციის ისტორიაში დაუვიწყარი და დაუფასებელი დარჩება.

მარა ამ ჟამათ ეს დიადი გმირი—თავრიზი განადგურებულია: მას გარეშე ძალა ჰფლობს. თან მის მიერ პირველობის დაკარგვა ბუნებრივი და აუცილებელია. რევოლიუციის გამარჯვება უპირველესათ სატახტო ქალაქის დამორჩილებას მოითხოვს. რევოლიუციის განვითარებას მოძრაობის ცენტრი ყაზვინ-თეირანისაკენ გადააქვს.

და აი, ყაზვინელი რევოლიუციონერებიც ამუშავდენ. სეპეხდარი—ეს შაჰის ჯარების ყოფილი უფროსი ჯერ ურჩობს, შაჰთან მოვრიგდებიდო, მარა როცა რევოლიუციონერთა მასსა ამას უარყოფს და ბახტიარების ხანიც ისფაჰანიდან გალაშქრებას მოითხოვს, ისიც თანხმდება და ყაზვინელ რევოლიუციონერთა გალაშქრების მეთაურობას კისრულობს. ისფაჰანიდან ბახტიარები დაიძრენ. ისინი უუძველესი ტომია სპარსეთში და საუცხოვო მებრძოლი. მათი მეთაური სარდალი ასადი ჰაჯი ალი-ყული ხანი ევროპიული კულტურის კარგათ მცოდნეა. ის დიდხანს საფრანგეთში ცხოვრობდა, იქ ლიტერატურასა და პოლიტიკას სწავლობდა და ფრანგული ენიდან სპარსულზე ბევრი საუკეთესო ნაწარმოები გადმოიღო. ის ერთათ ერთი თანამედროვე ევროპიელი კულტურის მცოდნე რევოლიუციის მეთაურია ამ ჟამათ სპარსეთში. ყველა დანარჩენები—ეს სხვადასხვა ნასრ-ულ მულქმი, ყოფილი და მამავალი კონსტიტუციონური მინისტრები ბრძოლის ველიდან გაიქცენ და ევროპიდან სეირს უცდიან. სარდალ ასადს კარგათ შეუგნია ევროპის სახელმწიფოთა მტაცებლობა და მათი დიპლომატიური ოინები. ამიტომაც მათი ელჩების მუქარაზე, უკან დაიხიეთ თორემ ჩამოვერევითო, მოსწრებულათ უპასუხებს: „თეირანში მოვლაპარაკებთო“. ყაზვინელ და ისფაჰანელ რევოლიუციონერთა დასახმარებლათ რეშტიდან ეფრემს, ალბათ კავკასიელთა, რაზმი დაიძრა. თეირანს ყოველი მხრიდან ემუქრებიან.

რა გზას უნდა დაადგენ რეაქციონერები?

ან რევოლიუციის სრული გამარჯვება და მით შაჰის ტახტიდან ჩამოგდება და რეაქციის ალაგმვა, ან შაჰის გამარჯვება და რევოლიუციის დათრგუნვა. ასეთია მდგომარეობა. შაჰი ურჩობს და დათმობას უარყოფს, მარა გარეშე სახელმწიფოები შაჰზე უმჯობესი პოლიტიკოსებია. ისინი ხედავენ, რომ მაჰომედ-ალის—ამ ცუდ სახელმწიფოთა შაჰს აღსას-

რული მოელის და დათმობას ურჩევენ. მათი გავლენით ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც ხალხის უფლებას უფრო ფართო—100 თუმანის მაგიერ 50 ცენზი—გამოაქვეყნებინეს და მეჯლისის 10 დღეში მოწვევას პირდებიან იმედდაკარგულ ხალხს. ამ დროს კი თეირანისაკენ ახალი ჯარი იგზავნება. მდგომარეობა ყველასათვის ნათელია. სპარსეთის დემოკრატიის მტერთა მიზანია ბრძოლის დროებით შეჩერება, სანამ თეირანს უცხო ჯარი დაიჭერს და ბრძოლა წაგებული იქნება.

მარა ხშირი მოტყუებით რევოლიუციონერთა მოთმინების ფიალა აივსო. ამიერიდან შაჰის მთავრობასა და ხალხს შორის ყოველი ფავშირი შეწყვეტილია. რევოლიუცია თეირანისკენ მიიწევს და სატახტო ქალაქის აღებით შაჰის ბატონის მოსპობას ცდილობს. დიპლომატების ცდა, შაჰს მოურიგდითო, დაიმსხვრა; რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება შეთანხმება-მორიგების უარყოფს!

სპარსეთის რევოლიუციონერები ახალგაზრდა ოსმალთა ტაქტიკას, სტამბოლის აღების დროს, იმეორებენ. 30 ივნისს დილა ადრიან რევოლიუციონერთა შეერთებული ჯარი ჩრდილოეთის კარებიდან მოულოდნელათ თეირანში შეიჭრა. რევოლიუციონერთა პლანმა ლიახოვებს აჯობა. შაჰის ჯარი დაქსაქსულია და ამიტომაც უძლური. რევოლიუციონერთა ჯარი ერთათ მოქმედებს და ამიტომაც ადვილათ იმარჯვებს. პირველი შეტევითვე შაჰის ჯარი ჩრდილოეთ-თეირანს სტოვებს და აჯანყებულნიც მას პატრონობენ. ბრძოლის მთავარი ასპარეზი ქალაქის შუაგულია. აქ კაზაკები ყაზარმებში გამაგრებულან და არსენალსა და შაჰის ქალაქის სასახლეს მთელი ძალღონით იცავენ. ზარბაზნების გრიალი, ბომბების აფეთქება, თოფების სროლა, დაჭრილთა კვნესა, გამარჯვებულთა ყიჟინა—ქალაქს აზიურ სიმშვიდეს აცლიან და საფრანგეთის დიდებულ რევოლიუციას მოგაგონებენ.

ნ. რ.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ივლისი.

რევოლიციონური მოძრაობა ისპანიაში

მადრიდი. მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვით ესპანიაში წესიერება აღდგენილია. მელილიაში მშვიდობიანობაა.

მელილია. ისპანიის ნავმა პენონისთან დაიჭირა 50 ხანგი და ნავი. 20 კაცი დანებდა ესპანელებს, სხვები წყალში ჩაცვივდენ, 5 დაიხრჩო.

სერბერი. ესპანიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ 26 და 30 ივლისამდე 35 მონასტერი და ეკლესია დასწვესო.

მადრიდი. ოფიციალური ცნობებით ბარსელონის ამბების შესახებ ხსენებულ ქალაქში ჯარისთვის 26 ივლისს 3 კაცი მოუკლავთ და 27 დაუჭრიათ, მეამბოხეთ 32 მოკლული დაკლებიათ, 126 დაჭრილი. ბარსელონსა, მარტორელიასა და გორტში წესიერება აღადგინეს. ბარსელონიდან ჯარისკაცთა რაზმი გაიგზავნა დავადელში, სადაც სერიოზული ამბოხება დაიწყო.

ბარსელონა. ქალაქში წესიერება საბოლოოთ აღდგენილი იქნა. ყველგან მუშაობა დაიწყო, გემების მიმოსვლა და ნახშირის შემოტანა უკვე დაიწყო.

სპარსეთი

თეირანი. უმაღლესმა კომიტეტმა ზილლი-სულთანის შვილებს გამოუცხადა, რომ იმათ მამას სპარსეთში არ შემოუშვებენ.

თეირანი. არტილერიის უფროსს მეუდოულეს და ყოფილ პოლიციმეისტერ სერდარ-ხანს სიცოცხლე აპატიეს. სიკვდილით დასჯა ამათ დიდი ჯარიმით შეეცვალა.

ბეჭდვითი სიტყვის შესახებ წესების გამოცემამდე ყველა სატახტო გაზეთები შეჩერებულ იქნა.

რუსეთი

პეტერბურგი. სასახლის მინისტრის დეპეშა: მათი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, რომელთაც დიდი ბრიტანიის კოროლი და კოროლევა მიეგებენ სტიტგეიდში, 20 ივლისს ოტოუს რეიდში მიჯიდენ, კუნძულ უაიტზე.

სიზრანი. ს. ვიოზოვკაში 107 ებრაელი დაიწვა ყველა შენობიანათ.

უგლიჩი. 19 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე ისპრავნიკის ბინის მახლობლათ ორმა უცნობმა, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ ქურდნი იყვენ, დასჭრეს პოლიციელი. ამ უკანასკნელს მათი დაჭერა უნდოდა უცნობნი მიიმალენ.

სევასტოპოლი. სამხედრო-საოლქო სასამართლომ წყლის ქვეშ მავალ ნავის „კამბოლას“ კამანდირს აკვილონოვს, რომელსაც ფულის გაფლანგვას და სიყალბეს აბრალებდენ, მიუსაჯა 5 წლით ტუსაღთა რაზმში გაგზავნა. სასამართლომ დაადგინა განაჩენი ხელმწიფეს წარუდგინოს განსახილველათ.

ხ ო ლ ე რ ა.

პეტერბურგი. ხოლერით ავათ გახდა 31, გარდაიცვალა 7, სულ ავათაა 519 კაცი.

არხანგელსკი. შენკურის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 2, კემში 6, მის მაზრაში 16, გარდაიცვალა 9, არხანგელსკში ავათ გახდა 5, გარდაიცვალა 2, მაზრაში ავათ გახდა 7, გარდაიცვალა 2.

კრონშტადტი. 20 ივლისს ხოლერით არავინ გამხდარა ავათ. ავათ სულ 7 კაცია.

იაროსლავლი. რომანო-ბორისოგლების მაზრაში სულ 3 კაცი გახდა ავათ, ერთი გარდაიცვალა, იაროსლავის მაზრაში ავათ გახდა 2 გარდაიცვალა 1. რიბინსკში და მის მაზრაში ავათ გახდა 6.

ეკატერინბურგი. მოტავილიხინის ქარხანაში გარდაიცვალა 1.

პეტერბურგი. რიგა, ვიტებსკი, ნოვგოროდი და მისი მაზრა ხოლერის მხრივ არა საიმედოთ იცნეს. საშიშართ იცნეს კოვნოს გუბერნია, იაროსლავლი, რიბინსკი, იაროსლავლისა და რიბინსკის მაზრები-

საზღვარ-გარეთ

სვინემიუნდე. იმპერატორი ვილჰელმი გემ „გოგენცოლერნით“ ჩრდილოეთისკენ მოგზაურობის შემდეგ უკან დაბრუნდა.

სტოკჰოლმი. გაფიცვას მიემხრენ ყველა პროფესიონალური კავშირები, მათ შორის ტელეფონის მუშებიც, გარდა ზოგიერთი კატეგორიისა. გაფიცვასვე მიემხრენ აგრეთვე მალმის პროფესიონალური კავშირები, გადრა ტრამვაის მოსამსახურეებისა.

ჟენევა. ჰსიხოლოგიის საკითხების გამოსაკვლევათ გაიხსნა მე-6 საერთაშორისო კონგრესი.

კალკუტა. ადგილობრივ ჰოსპიტალის მოწყალების დათა შორის ხოლერა გაჩნდა. ავათ გახდა 6 მოწყალების და და 4 ევროპიელი.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

რეაქციონერების დასჯა 17 ივლისს დაიწყო რეაქციონერების დასჯა.

ღამით დაატუსაღეს 6 რეაქციონერი. მათ შორის არის ბურჯი რეაქციისა—შეიხ-ფაზლული. ფაზლულის შვილმა, მოლამ, სიტყვა წარმოსთქვა ფიდაების სასარგებლოთ და კურთხევა მიუძღვნა იმ სახრჩობელას, რომელზედაც აიყვანეს მისი მამა.

მუზაფერ-გულ-მულკი უკვე დახვრიტეს განაჩენის გამოცხადებისათანავე.

მიღებულია ცნობა, რომ ცნობილი შავრაზმელ შეიხ-ამოლს გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა. მას დასჯიან ერთი საათის შემდეგ. დანარჩენთა დასჯა გადადებულია.

სახრჩობელა, რომელზედაც 16 ივლ. ჩამოახრჩვეს სანია-გეზრიეტი, როგორც აღმოჩნდა, აშენებული ყოფილა დამპალი მასალისაგან, რის გამო დამით ის დაინგრა, როცა დასჯილის გვამი ჯერ კიდევ ზედ იყო. ეხლა აუარებელი ხალხი „რ. ს.“ სიტყვით თავის ნებით აკეთებს ახალ, მაგარ სახრჩობელას.

რუსეთის საქონლის ბოიკოტის შეწყვეტა. პარტიებმა და მთავრობამ ხალხში ენერგიული გავლენის წყალობით მოახერხეს რუსეთის საქონელზე ბოიკოტის მოხსნა და აგრეთვე მცხოვრებთა დამშვიდება, რომელიც ძლიერ აღელვებული იყო სპარსეთის საზღვრებში რუსის ჯარის შესვლის გამო.

„ნოვოე ვრ.“-ს ჭორები. ახალმა მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია „ნოვოე ვრემია“-ს თეირანელ კორესპონდენტ იანჩევცკის მოღვაწეობას, რომელიც სისტემატიურათ ამახინჯებდა ფაქტებს და ყალბათ აშუქებდა უკანასკნელ შემთხვევებს თავის დეპეშებში და კორესპონდენციებში.

მთავრობამ, გარეშე მინისტრის საშუალებით შიმართა რუსეთის მისიას—მიეღო სათანადო ზომები კორესპონდენტის წინააღმდეგ, სანამ გააძევებდენ მას თეირანიდან.

სამხედრო მენისტრის ამხანაგი მუიზუსალტანე და „კომისიონჯენგი“-ს ერთი ცნობილი წევრი წარუდგენ “რუსსკოე სლოვოს„ კორესპონდენტს და გრძელ საუბარში სთხოვეს ამ უკანასკნელს, ეუწყებია რუსეთის საზოგადოებისთვის, რომ ზომა მიღებული მთავრობის მიერ რუსულ გაზეთის კორესპოდენტის წინააღმდეგ, გამოწვეულია აუცილებლობით, რაიცა მდგომარეობს მშვიდობიანობის და რუსეთ-სპარსეთის მეკობრულ განწყობილების გამაგრებაში, რომელსაც ბ. იანჩევეცკის მეტათ ენებს, ფაქტების ტენდენციოზური განათებით.

უცხოელ გაზეთების ყველა წარმომადგენლები ახალ მთავრობას უჭერდენ მხარს, მხოლოდ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ცდილობდა ცილი დაეწამებია ახალი კაბინეტისთვის.

მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ დღევანდელი რადიკალური მთავრობა აღესილია რუსეთისადმი მეგობრულ გრძნობებით.

„რუსკოე სლოვოს“ კორ. სიტყვით, ბ. იანჩევეცკის ცნობა რუსების სიძულვილზე—ტყუილია.

ოსმალეთი.

რეაქციონერების გაძევება. უმაღლესმა სასამართლომ 33 რეაქციონერს ოსმალეთიდან გაძევება გადაუწყვიტა.

მასსიური დაპატიმრება ადანაში. განსაკუთრებული კომისიის დადგენილებით ადანაში და მის მიდამოებში რამდენიმე ასი ოსმალი და ქრისტიანი დაატყვევეს. მათ ბრალათ ედებათ ადანის „პაგრომში“ მონაწილეობის მიღება.

ბერძნების ბოიკოტი მაკედონიაში. ოსმალები დიდ მზადებაში არიან, რომ ბერძნების საქონლის ბოიკოტს საზოგადო ხასიათი მისცენ. ბერძნების სანავოსნო კომპანიები ახლაც დიდ ზარალს განიცდიან დაწყებული ბოიკოტიდან.

რუსეთი.

სენატორ გარინის რევიზია. სენატორ გარინის მონდობილობით პროკურორმა ბუსლომ გაჩხრიკა კიევის საინტენდანტოს „პოსტავშჩიკები“. ხელში ჩაიგდეს მრავალი გამამტყუნებელი საბუთები. რევიზიამ ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გაჩხრიკეს აგრეთვე რამდენიმე „პოსტავშჩიკი“ მოსკოვში და პეტერბურგში. წაიღეს სხვადასხვა საბუთები და მიწერ-მოწერა. გარინი ყაზანში წავიდა სარევიზიოთ.

კივშირის დახურვა. გუშინ ვწერდით, რომ დაიხურა პურიშკევიჩის კავშირი „მიხელ მთავარ-ანგელოზი“. ამ კავშირთან ერთათ დაიხურა იმისავე დაარსებული მუშათა კავშირიც. მიზეზი ლიკვიდაციისა—სრული უსახსრობაათ.

„სოიუზნიკი“-სადისტი. კურსკში დაატყვევეს „ჰეშმ. რუსთა კავშირის“ ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე რჟავსკი. რჟავსკის ჯერ გაუპატიურებია და შემდეგ მოუკლავს ცხრა წლის პატარა ქალი მაროზოვი. ამ ამბავმა ქალაქში დიდი მღელვარება გამოიწვია. რჟავსკის, გაუპატიურების შემდეგ, 50 მ. მიუცია ორი ქალისათვის და დაუვალებია მისი მოკვლა. მოკლულს პირის-სახე სულ დაჩხვლეტილი აქვს დანით. მოკვლაში თვით რჟავსკისაც მიუღია მონაწილეობა. მას გაუპატიურების შემდეგ მოროზოვი ლენტით დაუხრჩვია, და შემდეგ ბოსტანში გადაუგდია. პოლიციამ გამოარკვია, რომ რჟავსკისაგან ეს პირველი მსხვერპლი არ ყოფილა. პოლიციის შენობას, ამ ამბის გაგების შემდეგ აუარებელი ხალხი შემოერტყა, და რაჟვსკის გადაცემა მოითხოვეს გასასამართლებლათ. პოლიციამ ძლივს ძლივობით დააწყნარა აღელვებული ხალხი.

ზალემანის უარი. ამას წინათ რაზიეზჟაია ქ. პეტერ. დიდიუბედურება მოხდა. ჩამოინგრა ზალემანის სახლი და ქვეშ რამდენიმე ათი მუშა მოყვა. ჩამონგრეულ სახლს ჯერ კიდევ პოლიცია იცავს. ზალემანი უარს ამბობს დაშავებულ-დახოცილების ოჯახობას დახმარება გაუწიოს, რაიცა ხშირათ შეტაკებას იწვევს. 40—50 მუშა გუშინ წინ მივიდა ზალემანის სახლთან და მისი გამგისაგან მოითხოვეს ხვედრი ფულის გადახდა გამგემ უარი განაცხადა და მიზეზათ ზალემანი დაასახელა. ამან გამოიწვია მუშების აღელვება. ვინ იცის, რით გათავდებოდა მუშების მუქარა, რომ საქმეში პოლიცია არ ჩამორეულიყო. მუშები საპოლიციო ნაწილში წაიყვანეს, სახელი და გვარი დაიწერეს და რამდენიმე საათის შემდეგ გაანთავისუფლეს.

მრეწველობის კრიზისი. ქვანახშირის მრეწველობის კრიზისი დონეცის რაიონში თანდათან ძლიერდება. მაღაროებში ქვა-ნახშირი მილიონობით აწყვია. ფასები დაეცა, მუშების ნაწილს ანგარიში გაუსწორეს და დაითხოვეს.

ლოკაუტის შეწყვეტა. ჩოთქების საკეთებელ მეფაბრიკეების ლოკაუტი შეწყდა. მეფაბრიკეებმა დაუთმეს მუშებს. დატოვებულ იქნა ისევ რვა საათის სამუშაო დღე.

საზღვარ-გარეთ

რევოლიუცია ისპანიაში. ბარცელონაში ქუჩებში ბარიკადებზე დიდი სიმხნევე გამოიჩინეს რევოლიუციონერმა ქალებმა. ისინი გმირულათ იცავდენ მამაკაცებთან ერთათ თავის პოზიციებს. პოზიციებზე ბაირაღი იყო აფრიალებული, რომელზედაც ეწერა: „ძირს დინასტია!“. ლონდონის ერთი კორესპოდენტი იუწყება, რომ რევოლიუციონერების ერთ რაზმს გარს შემოერტყა ჯარი და არტილერიის საშუალებით იძულებული გახადა იარაღი დაეყარა და დამორჩილებოდა. დამსწრეები ამბობენ, რომ ბარცელონაში მუშებსა და ჯარს შორის შეუწყვეტელი სროლა იყო. ქალაქი ცეცხლის ალმურში იყო გახვეული. ქარხნებს და ეკლესიებს ცეცხლი ეკიდებოდა, რომლის ალი ძალიან მაღლა ადიოდა.

კოროლის დაზღვევა. თუ რამდენათ სერიოზულია მდგომარეობა ისპანიაში, სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ, ამ დღეებში, „ბირე. ვედ.“-ს სიტყვით, ლონდონის დამზღვევი საზოგადოება შეეკითხა თავის გამგეობას, შეიძლება თუ არა დათანხმდენ კარლ ალფონსის დაზღვევაზე. კაროლის ასეთი განზრახვა ამტკიცებს, რომ მას სერიოზული საფრთხე მოელის. დამზღვევი საზოგადოებების გამგეობებმა უპასუხეს, რომ ისინი მზათ არიან დაზღონ კოროლის სიცოცხლე, მარა იმ პირობით, რომ „პრემია“ 200 პროცენტს არ აღემატებოდეს.

რა ხდება მაროკოში. ბერლინის გაზეთების სიტყვით მაროკოში შედარებით სიწყნარეა. კაბილები სიმაგრის კედლებს შეეფარენ.

ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლაში ისპანელებს მოუკლეს სულ 1000 სალდათი, 200 აფიცერი და სამი გენერალი, დაუჭრეს 2,000 სალდათი და მრავალი აფიცერი, გენერალი მარინი 75,000 სალდათს თხოულობს. დასახმარებლათ. კაბილების ჯარი თან-და-თან იზრდება. მათ ყოველ დღე მრავალი მეომარი ემატება მაროკოს სხვადასხვა კუთხიდან.

ბრძოლა მელილიის ახლო. პარიზის გაზეთების ცნობით ამ ბრძოლაში ისპანელებს დაუჭრეს 800, მოუკლეს 200 სალდათი. ხოლო აფიცერი 20-ზე მეტი. ამ ბრძოლაში მაროკოელების ტყვია „დუმ-დუმი“ უხმარიათ,

გერმანიის ინტრიგა მადრიდიდან იუწყებიან, რომ კაბილებს აღმოაჩნდათ მაუზერის თოფები: აქედან ის დასკვნა გამოუყავთ, რომ აჯანყება მაროკოში მომზადებულია გერმანიის მიერ.

კენჭის ყრა გაფიცვის შესახებ. ინგლისის ქვა-ნახშირში მომუშავებს შეტაკება მოუხდათ ხაზეინებთან, რასაც მოყვა მუშების ნაწილის გაფიცვა. გაფიცვა ისე გამწვავდა რომ დაისვა კითხვა საერთო გაფიცვის შესახებ. კითხვა გადასაწყვეტათ გადაეცა ინგლისის ყველა მალაროებში მომუშავეებს. კენჭის ყრის შედეგი ასეთია: სამხრეთ უელსში მუშების 90 პროც. ხმა მისცა გაფიცვას. ნორტუმბერგში გაფიცვის სასარგებლოთ ხმა მისცა—25,100 2,700—წინააღმდეგ. სიუდერლინში სასარგებლოთ—14,906 წინააღმდეგ—1,290. ლენარკშირში სასარგებლოთ—56,500; წინააღმდეგ—12,000 ბრისტოლში სასარგებლოთ—15,950. წინააღმდეგ—1,920. მდგომარეობა მით უფრო რთულდება; რომ ხეზინები და მუშების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია ვერავითარ დასკვნამდის ვერ მივიდა.

ბურცევის წერილი გაზ. „მატენ“-ში ბურცევმა მოათავსა თავისი უკანასკნელი წერილი. ვინაიდან გარტინგმა უკვე აღიარა გზ. „რეჩი“-ს თანამშრომელთან, რომ ის და ლანდენზენი ერთი და იგივეა, ამის შესახებ კიდევ ლაპარაკი და მტკიცება ღია კარებში კვანძს ჰგავსო, ამბობს ბურცევი. ის ამბობს, რომ რუსეთის პოლიტიკური პოლიციის ხასიათი ეხლა უკვე ნაკლებ გამორკვეულია. ამასთანავე ეს ბაზს უტოვებს პოლიციის პროვოკაციის ხელ-ახლა გადახალისებას, რომელზედაც ის წარმოადგენს შეურყეველ საბუთებს აზეფის ორმაგ როლისას, თუ კი, რასაკვირველია, მას დაუშვებენ სასამართლოში როგორც მოწმეს.

„მე—სწერს ბურცევი—დრმათა ვარ დარწმუნებული, რომ ლოპუხინის პროცესის გადასინჯვა გამოიწვევს სხვა პროცესებს, სადაც დამნაშავეთა სკამზე წამოსკუპდებიან თავის აგენტ აზეფთან ერთათ მისი თანამოძმენი და დამცველები—გარტინგები, რაჩკოვსკები, რატაევები და კომპ.

წერილი სპარსეთიდან

თეირანის აღება.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

სანამ თეირანში გამარჯვებაზე ვიტყოდეთ რამეს, ვეცდები მკითხველ საზოგადოებას გაკვრით მაინც გავაცნო ბრძოლა კერეჯიდან თეირანამდე.

კერეჯი, რომელიც 35—40 ვერსის სიშორეზეა თეირანზე, გამაგრებული იყო 300 ყაზახით და ბახტიარ-შახსევანებით, ორი ზარბაზნით და ერთი ტყვიის მტყორცნელით. რევოლიუციონერების რაზმი წინ მიიწევდა, თეირანისკენ და როგორც კი მტერს 200—300 ნაბიჯზე მიუახლოვდა მოულოდნელათ მტრის მხრიდან გაისმა ზარბაზნების ქუხილი და შეუწყვეტელი სროლა. რაზმი, რომელიც შესდგებოდა 1000 კაცისაგან, უცბათ შეჩერდა: არ იცოდა რა ექნა. მეტი წილი ფიდაებისა, განსაკუთრებით გილანელები (გილანელები საერთოთ მშიშარა ხალხია) გაიქცენ. მინდორზე, ორ გორაში მომწყვდეული დარჩა 100-მდე კავკასიელი, რომელნიც გაუმკლავდენ ყაჩაღ-ბახტიარებს, მაგრამ ერთი საათის ბრძოლის შემდეგ მათ უკანიდან წამოუარა რუსის აფიცრების მეთაურობით მეორე რაზმმა და საშინელი სროლა აუტეხა. რევოლიუციონერები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. მათ დასტოვეს ერთი პატარა ზარბაზანი, ორი მოკლული ფიდაი და 7—8 დაჭრილი თან წაიყვანეს.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ ფიდაებმა ძალა მოიკრიფეს. დაირაზმენ პატარ პატარა ჯგუფებათ და სხვა და სხვა მხრიდან იერიში მიიტანეს მტერზე. მტერმა უკან დაიხია. მას სურდა კიდევ მეორეთ მოეტყუებინა რევოლიუციონერები, მაგრამ მოსტყუვდა. რევოლ. წინ არ მიდიოდენ, მხოლოდ საფრებს იმზადებდენ.

არ ვიცით რა მოსაზრებით, მხოლოდ კერეჯი მტერმა მიატოვა მთლათ და 4—5 ვერსზე უკან დაიხია.

კერეჯის ხელში ჩაგდებამ კი რევოლიუციონერებს დიდი სარგებლობა მოუტანა, რადგანაც იქიდან თავისუფლათ შეიძლება 5—6 ვერსზე ბრძოლა.

მეორე დღეს, 24 ივნისს, თეირანიდან სეპეხდართან მოვიდენ რუსის და ინგლისის წარმომადგენლები და სთხოვეს მას რამდენიმე დღით შეეჩერებინა წინ სვლა და ამით საშუალება მიეცა ყოფილ შახისთვის გადაეწყვიტა „ყოფნა არ ყოფნა“. სეპეხდარი ამ წინადადებაზე დასთანხმდა.

ამ შეჩერებით ისარგებლა ლიახოვმა შახითურთ. რევოლიუციონერების დასახვედრათ რაზმი ერთი-სამათ გაძლიერა და თეირანის მახლობელ სოფლებში დაფანტა. ყველა სოფლებში 30 ვერსის მანძილზე მტერი იდგა. თეირანი კიდევ ცალკე ემზადებოდა მტრის დასახვედრათ. კაზვინის შესავალ კარებში 300 ყაზახი იდგა. აგრეთვე სხვა კარებში 100—150 კაცი. სეპეხდარი დროზე მიხვდა შახის ოინს და გადასწყვიტა აღარ ნდობოდა არავითარ შუამავლობას ელჩებისას. საჩქაროთ დაიბარა რეშტში დარჩენილი მედგარი გურჯების ჯგუფი (ბომბისტები) რომლებიც მესამე დღეს გაჩნდენ სეპეხდართან 200 უმშვარით. (კერეჯში შეტაკების დროს არც ერთ ქართველს არ მიუღია მონაწილეობა).

როდესაც ქართველების ჯგუფი კერეჯს მიუახლოვდა, მათ წინ შეეგებენ ყველა მეთაურები ფიდაებისა და „იშალა გურჯის“ ძახილით ძველ შახ-აბაზის სასახლეში მიიწვიეს.

მეორე დღეს დილით მთელი რაზმი, რიცხვით 2000 კაცი გაემგზავრა სოფელ-

ში ბახტიარ-ფიდაებთან შესაერთებლათ. გზაში ფიდაები დაფანტულ ჯგუფებათ მიდიოდა და როდესაც სოფელ იავტაბალს მიუახლოვდა, მათ წინიდან შეეხეჩათ რამდენიმე კაცი ბახტიარებისა, რომლებიც შეცდომით შახსევანებათ მიიღეს და სროლა აუტეხეს. თუმცა ბახტიარებმა ბევრი იძახეს: „ფიდაები ვართო“, მაგრამ მათ არ სჯეროდათ და განუწყვეტლივ ესროდენ თოფებს, ბახტიარებმა, როდესაც შეატყვეს, რომ ვერას გახდებოდენ სიტყვით, იარაღს მიმართეს. გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა, რომელმაც ორი საათი გასტანა. გილანელები დაფრთხენ. უკან დაიხიეს და უგზო-უკვლოთ გარბოდენ.

ქართველ-ყარაბაღელ თათრების შეერთებული რაზმი „გურჯი სერგოს“ მეთაურობით ამ დროს უცხენობის გამო იქვე ახლო სოფელში იდგენ და რომ დაინახეს გაქცეული გილანელები წინიდან გზა შეუკრეს.

გურჯ-ყარაბაღელებმა სროლა აუტეხეს გილანელებს და რამდენიმე მოჰკლეს. გილანელები თავისას მაინც არ იშლიდნენ. უკან მიიწევდნენ, მაგრამ ყუმბარების დანახვამ ყველას თავზარი დასცა და არ იცოდნენ რა ექნათ. „შეჩერდით“! ვინც კი გაჰბედავს ერთ ფეხის წინ გადადგმას ვაი მის დღეს! —დაიძახეს გურჯ-ყარაბაღელებმა.

„За мною товарищи“ გაისმა ერთი გურჯის ხმა და ორას-სამასი კაცი უკან გაჰყვა მას.

რაზმმა გადაიარა ბაღები, მინდორ-გორაკები, შეუერთდა ბახტიარ-ფიდაებს, მოუარა უკანიდან სოფელ ლალეი-სულეიმანში მყოფ ყაზახებს და სროლა აუტეხა. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ყაზახ-ბახტიარები გაიქცნენ. დასტოვეს 40 მოკლული კაცი, 37 თოფი, ტყვიაწამალი და 40 ცხენი... ამ ბრძოლაში უგზო-უკვლოთ დაიკარგა ერთი გამოჩენილი მებრძოლი ქართველი (სამეგრელოდან) ბათუმელი ს. დ. პეტრე (იულო) გვარი ვერ გავიგეთ. მოკვდა 12 ფიდაი. ბახტიარი—25 კაცი დაიჭრა...

მეორე სოფელში ბალამეკში იბრძოდნენ ბახტიარ-შახსევანებთან ეფრემა, სეპეხდარი, მირზა-ალი ხანი და სხვანი, აქაც ფიდაებმა გაიმარჯვეს თუმცა ზარალი დიდი მოუვიდათ. მოკლეს 3 სომეხი, 4 თათარი, 10-დე დასჭრეს.

30 ივნისი. ბახტიარები და ყაზივნელ-რეშტელი ფიდაები აპირებენ საღამოზედ შეერთებას და თეირანისკენ გალაშქრებას. მისალაპარაკებლათ იგზავნება გურჯ-ყარაბაღელების მეთაური, „გურჯი სერგო“. ყველანი ერთად იკრიბებიან, გარდა ბახტიარების და გურჯ-ყარაბაღელებისა ყველას უიმედობა ეტყობათ, რადგანაც ერთმანეთს არ ენდობიან. ეშინიათ ბახტიარების მხრიდან ღალატისა ან სისხლის აღებისა...

გურჯ-ყარაბაღელები ორი დღეა წინადადებას აძლევენ მუიზამ-სულტანს—ცხენები უშონოს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ ფეხსაც არ გადასდგამენ წინ.

საღამოს შვიდი საათი ხდება. ცხენები არსად სჩანან... გურჯების წარმომადგენელი უკანასკნელად იძლევა წინადადებას ცხენების შესახებ და რომ ჰხედავს სიცრუეს, ურჩევს გურჯ-ყარაბაღელებს უკან დაბრუნდნენ... ასეც მოიქცნენ, როდესაც ისინი ბრუნდებიან და მიუახლოვდებიან სოფელ ყარატაფას მათ წამოეწევათ სეპეხდარი, მუიზამ-სულთანი და სხვანი და სთხოვენ დაბრუნდნენ უკან. სეპეხდარმა მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შეჰხედეთ ჩემს ჰალარა წვერს, დარწმუნდით, რომ თქვენოდენა შვილები მყავს... ჰატივი ეცით მთხუცს, რომელიც თქვენ წინაშე სდგას მუხლ მოდრეკილი... ჰატივი ეცით თქვენ დაღვრილ სისხლს, თქვენ განსვენებულ ამხანაგებს, მრავალ ჩაგრულ სპარსეთის ხალხს. ეხლა რომ დაგვტოვოთ, ეგ ხომ ღალატი იქნება... დაბრუნდით... ყველაფერი უმალ იქნება აღსრულებული... ჩვენგნით კი არა, თქვენგნით არის ღალატი... ჩვენ რევოლიუციონერები ვართ ინტერნაციონალისტები... რუსეთში ჩაფრებიც კი არ დაიარებიან ფეხით... თქვენ როგორც გილანელების წარმომადგენელს ცხენებს უშოვით მათ, რომლებიც პირველსავე თოფის გავარდნაზე გარბიანო“.

გურჯ-ყარაბაღელები მაინც უკან ბრუნდებიან. მხოლოდ სეპეხდართან კი არა. ისინი უერთდებიან ბახტიარებს.

ეფრემა სთხოვს გურჯებს, მიატოვონ ბახტიარები, რადგანაც ბახტიარები საიმედო ხალხათ არ მიაჩნია მას და შეუერთდენ სეპეხდარის რაზმს, ან ეფრემას, მაგრამ გურჯ-ყარაბაღელები ზოგიერთი მოსაზრებით ეფრემას უარს ეუბნებიან.

29 ივნისი. ღამის თორმეტი საათი ხდება, როდესაც შეერთებული ბახტიარ-გურჯ-ყარაბაღელები უერთდებიან სოფელ ბადამეკში რეშტ-ყაზვინელ რევოლიუციონერებს და ჩუმის ნაბიჯით ვიწრო ბილიკით გადიან ბადამეკიდან 4—5 ვერსს, გადაუხვევენ მარცხნივ თეირანის მთებისაკენ, და მინდორ-მინდორ წინ მიიწევენ.

30 ივნისს დილის 4 საათზე, რაზმი სოფ. აბადს გვერდზედ ჩაუვლის. იქ მდგომი ყაზახ-ბახტიარები, რაზმის დანახვაზე მთებში იმალებიან. მამაცი ბახტიარები სიცილ-ყიჟინით აცილებენ მათ...

დილის შვიდი საათი იყო, როდესაც რაზმმა, რომელიც 4—5 ვერსზედ იყო გაფანტული გადმოჰხედა მთის წვერიდან ამწვანებულ თეირანს.

რაზმი უშიშრათ მიუახლოვდა ბეჩეტაბადას ალაყაფის კარებს, რომელიც ღია დახვდა. კარებში მდგომმა ყაზახ-ბახტიარებმა ხმის ამოღება ვერ მოასწრეს, რომ ლიახვისთვის ეცნობებინა რევოლიუციონერების შემოსვლა.

რევოლიუციონერები ქალაქში შედიან და მეტი წილი ემგზავრება დანგრეულ მეჯლისისაკენ. დანარჩენები აქეთ იქით იფანტებიან და პოზიციებს იჭერენ.

ქუჩებში, ყველა მიუდგომელ ბანებზედ ყაზახ-ბახტიარებია და ფიდაების დანახვაზედ თოფს ისვრიან...

9 საათია. ბრძოლა თითქოს იწყება. აქა-იქ ისმის ზარბაზნების სროლა.

მეჯლისთან ბახტიარები რაზმებად იყოფიან და საფრებს იჭერენ.

გილანელები მეჯლისის გალავანში მაგრდებიან. ეფრემა ალა-ედ-დოულეს ქუჩის კუნჭულას იჭერს ოსმალეთის და ინგლისის საკონსულოების სიახლოვეს, რადგანაც ეშინია მას ღალატის, ან სომხების პაგრომისა.

იმავე ქუჩის ბოლოში დილიდან დაწყებული იბრძვის ორი ქართველი, რომლებსაც სამ მხრივ სარბაზები არტყიათ..

უკან ჩამორჩენილი ფიდაები შემოდიან ქალაქში. ბევრი მათგანი გზების უცოდინარეობის გამო, მტრის ცეცხლში ეხვევა... მეტი წილი „გურჯებისა“ ჯერ არსად არ ჩანან. მხოლოდ თეირანი გრძნობს მათ მოახლოვებას. ყველამ კარგათ უწყის, რომ ყუმბარის გრიალი ნიშანია „გურჯების“ ქალაქში შემოსვლისა... (სპარსელებში და სომხებში, ყუმბარის გადამგდები არ მოიპოვება. არის ორი რუსი, რომლებიც გურჯების ჯგუფში ირთვლებიან.)

მეორე დღეს, 31 ივნისს, დილით ადრე გავარდება ყუმბარა... ერთი... ორი—ათი ..

ვიღაც ტელეფონით ატყობინებს ინგლისის კონსულს „грузины начали бомбардировать городъ, прошу принять мѣры„... ტელეფონთან ხის გაშეშებული „Русское Слово“-ს კორესპოდენტი და სულ განაბული ყურს უგდებს...

12 საათია. გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა. დახოცილ-დაჭრილებით სავსეა ქუჩები...

საღამომდე სროლაა...

ღამეც ისმის აქა იქ თოფის სროლა...

1 ივლისი. ირაჟირაჟა. ისმის ყიჟინა. მედგარი ბახტიარები იერიშით ხელ-დახელ გადაერევიან ყაზახ ბახტიარებში და ორ ახალ სისტემის ზარბაზანს და მრავალ იარაღს ართმევენ.

6 საათია. ბახტიარებს განიერი შარვლის ტოტები ქამარში აუკრავთ და თითქმის წელამდე ტიტვლები შეუპოვრათ იბრძვიან... უკანასკნელად კიდევ მიიტანენ იერიშს და ხელ-ახლა იმარჯვებენ...

ლიახვი იწერება: „გნებდებით, შეაჩერეთ სროლაო...“

3 საათია. ხმა გავარდა ქალაქში: „შახი გაიქცაო“. ხმები მართლდება. სროლა მიწყნარდა... ფიდაები უშიშრად დასეირნობენ ფაიტონებით ქალაქში...

3 ივლისი. სრული სიმშვიდეა...

„გაუმარჯოს ხალხს“! „გაუმარჯოს კავკასიას!“ „გაუმარჯოს ბახტიარებს“!—გაისმის ირგვლივ ხმა.

თეირანი. **ალ. ო—ლი**

ჰატარა ფელეტონი

ზ-ღ ვ ა ზ ე.

—

მიყვარს ზღვა, როცა მკერდ გადაშლილი
ტკბილსა ეძლევა ზმორება—წოდინს,
მეც ნაპირიდან თვალსა ვადევნებ
მისი ტალღების საამო თოთინს.

მიყვარს ისინი, მისი ტალღები,
ნაზათ მოცელქე-მონარნარენი,
როს იმათ თამაშს თვალს ადევნებენ,
ვით მე, ნაპირნი—მგლოვიარენი.

მაღლიდან მთვარის და ვარსკვლავების
თრთოლვით, სიცელქით სხივნი სწყდებიან,
ეშურებიან ზღვისა სივრცისკენ
და მის წიაღში აენთებიან...

ჩუ! აგერ ზღვაზე გამოჩნდა ნავიც,
მოდის. მოიწევს, ქანაობს ლაღათ
და იდუმალი ენით, მენავე
ტკბილ მუსაიფსა უმართავს ტალღათ:

„ლაღო, ტალღებო,
ფიქრთა წამღებო!
იმღელვარევით, იცელქეთ მარად,
ურთ-ერთს გაყევით,
ზევით, ხან—ქვევით
შეუკოდებლივ. მოუსვენარად...
ეგ ჩემი ნავი,
ლაღათ მფრინავი,
ფრთებზე შეისვით, თქვენ მიიბარეთ
და ამ ზღვაზედა
სწორე გზაზედა
წამიტანევით... გადამატარეთ!..
გენდეთ—მიმიღეთ
და თან წამიღეთ,
ხომ ხედავთ, ტლუსვლა არ შემიძლია!
საჭეს რას ვაქნევ?—
ნიჩფებს არ ვუქნევ
და იალქანიც არ გამიშლია!..
მიქნით ძმობა!
თუ მარტოობა
დამეტყო,—მაინც უნდა ვიტირო,
ერთად კი თქვენთან
წამოვალ ყველგან,
არ მედარდება, თუნდ ჩავიძირო.
თუ მოიქროლებს,
ზღვას აგვიყროლებს
ქარი და ჩვენს წინ ზვირთებს აღმართავს,
მაშინ ეს მკლავი,
დაულალავი,
არა ერთს მათგანს, გულს გაუფატრავს...
მაშ, ჰე, ტალღებო,
ფიქრთა წამღებო!
ითამაშევით, იცელქეთ მარად,
ურთ-ერთს გაყევით,
ზევით, ხან—ქვევით,
მატარეთ ასე, მოუსვენარად.
გავყვეთ, წავიდეთ, ვიაროთ ერთათ;
ეგ ჩემი ნავი თქვენ მიიბარეთ,
მიმაღწევინეთ სამშვიდობომდის,
ან სადმე გზაში დამასამარეთ!..“

ნ. ზომლეთელი.

ახალი ამბები

—

მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი, სევერიანე ჯუღელი. 5 მაისს ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე პოლიცია თავს დაესხა და გაჩხრიკა ყოველდღიური ქართული გაზეთის „ჩვენი აზრის“ რედაქცია. პოლიციამ მრავალი ხელთნაწერები წაიღო. გაჩხრეკის შემდეგ დააპატიმრეს რედაქტორი და ყველა თანამშრომლები, ამათში იყვენ კახიანი, ბაქრაძე, რ. არსენიძე, გრ. ურაბელაძე და ლ. ბარამიძე. დააპატიმრეს აგრეთვე მელიტონ ხომერიკი. სამი დღის შემდეგ კახიანისა და ბაქრაძის გარდა ყველანი გაანთავისუფლეს. ეს ორი კი დღემდე დაპატიმრებულნი არიან მეტეხის ციხეში. პოლიციას კახიანის ვინაობაში ეჭვი შეუტანია და მართლაც ამ უკანასკნელს გაუმხელია, რომ იგი მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი სევერიანე ჯუღელია. გამოძიება სწარმოებს.

სტიპენდია ხარკოვის უნივერსიტეტში. ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ბაგალეიმ დეპეშით შეატყობინა თფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ხსენებულ უნივერსიტეტში განთავისუფლდა ერთი ვაკანსია აბესალომოვის სტიპენდიაზე.

ქალაქის გამგეობის წევრთა სხდომა. დღეს, 23 ივლისს დანიშნულია ქალაქის გამგეობის წევრთა სხდომა ქალაქის სამეურნეო ნაწილთა უფროსების მონაწილეობით მომავალ 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის განსახილველათ.

აღებულ ჯარიმის მითვისება. ადმინისტრაციის განკარგულებით თფილისის სამოსამართლო პალატაში გადაეცა სამხედრო ახალ-ბაიაზეთის მაზრის ყოფილი ბოქაულ ბაგრატიონ-დავიდოვისა და მამასახლისის ქერბალაი-ჰასან-ოღლისა, რომელთაც სოფლელთაგან აღებულ ჯარიმის 154 მანეთის მითვისება ბრალდებათ.

ილიას ფონდი. აღექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანმა ილიას ფონდს 100 მანეთი შესწირა.

ერობის შესახებ. დღეს, საღამოს 9 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება კრება საგანგებო საკრებულოს პირველი სექციისა ერობის შესახებ.

ჩხრეკა. 21 ივლისს, ღამის 2 საათზე ჟანდარმთა სამმართველოსა და დაცვის განყოფილების განკარგულებით გაჩხრიკეს შალვა ელიავას ბინა. წაიღეს წერილები ქართულ ენაზე. საეჭვო არაფერი აღმოუჩენიათ.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები. თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა, „კავკაზ“-ის სიტყვით, ნება დართო ფოსტა-ტელეგრაფიწ კანტორები გაიხსნას შემდეგ აღგილებში: თფილისის გუბერნიის სოფ. სართაჭალასა და გურჯაანში და ქუთაისის გუბერნიის ს. ჯრებალოსა, წესსა, ლაილაშსა, ჩოხატაურსა, აბაშასა და ლანჩხუთში.

თათბირი ერობის შესახებ. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, განჯის გუბერნიის უფროსის თავმჯდომარეობით მომხდარა თათბირი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

კავკასიის ნამესტნიკი. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, 17 ივლისს დილით, კავკასიის ნამესტნიკი პეტერბურგიდან მოსკოვს ჩასულა, ამავე დღეს, საღამოს, მოსკოვ-ყაზანის გზით ნამესტნიკი თფილისისაკენ გიმოემგზავრა თურმე.

სამგლოვიარო დეპეშა. ბახმაროდან სტუდ. ბიქტორ ბოლქვაძის გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო დეპეშა განსვენებულის ამხანაგებისა და თანამოაზრეებისაგან.

გვთხოვენ გამოვცხადოთ, რომ ვაჩიდ ჯაფარიძის ოჯახობის სასარგებლოთ რგოინის გზის სახელმწიფოს „მზდიარის“ ტუხში შეგროვდა 8 მ. 40 კ. დანიშნულებისამებრ გადაეცა.

ვგრეთვე გადაეცა იმავე მიზნით „ტოკრნი“ ცეხიდან თურქესტანოვისაგან 20 კაპ., ჟღნასაგან 10 კ. და გაშაკეთისაგან 10 კ.

მოსწავლე-მათხოვარი.

—

ბავშის გონება, ძველი რომაელების თქმულებისამებრ tadula rasa-ს (დაწერელ დაფას) წარმოადგენს. ამ დაფაზე ყველაფრის დაწერა შეიძლება: ცუდისაც და კარგისაც. თუ კარგს დასწერ, კარგივე დარჩება და ყველას შეუძლია მისი წაკითხვით ისიამოვნოს; თუ ცუდი რამ დაიწერა—ცუდივე დარჩება და მკითხველზედაც ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენ.

ეს მსგავსება ძალიანი მოხდენილიც არის. ბავშვის გონებაზე ისე, როგორც დაფაზე, შეიძლება ავისა და კარგის აღბეჭდვა, მაგრამ ამ მსგავსებას თან დიდი განსხვავებაც ახლავს და ეს განსხვავება არასოდეს არ უნდა იქნეს დავიწყებული. იმ დროს, როდესაც დაფა უსიცოცხლო საგანს წარმოადგენს და მასზე დაწერილი ცუდი ან კარგი მკითხველში ან ზიზღს იწვევს ან სიამოვნებას და მისი მნიშვნელობა ამით სრულიად ისაზღვრება, იგივე არ ითქმის ბავშისა და მის გონების შესახებ. ბავში სულიერი, თვითმომქმედი არსებაა. პატარაობიდანვე მის სპეტაკ გონებაში აღბეჭდილია ამა თუ იმ მოვლენის შემეცნება, მოქმედების წესი, ზნეობრივი ნორმები და სხვ... ყამთა ვითარების გამო, ჭაბუკობის ხანაში-ჩვეულებათ იქცევა, მხოლოდ სიმწიფის ხანაში ღრმა რწმენის ხასიათს იღებს. აქ დაწერილის წაკითხვით და შთაბეჭდილების მიღებით საქმე არ თავდება. ამა თუ იმ რწმენით აღჭურვილი ადამიანი ცხოვრების ასპარეზზე გამოდის. ის მოქმედობს და თავის რწმენას განხორციელებს. ამავე დროს ის შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ თავისი აზრი გაავრცელოს, სხვებსაც გადასცეს და ამით მიმდევრები იშოვოს, შკოლა დააარსოს—და მით ცხოვრების მსვლელობას სათავეში მოექცეს, საზოგადოებრივი განვითარება, რამდენათაც ეს მისთვის შესაძლებელი გახდება, თავის შეხედულებას დაუქვემდებაროს.

ამ გზით ვითარდებოდა კაცობრიობის აზრის ისტორია ჩვენამდის, ამავე გზით განაგრძობს ის მსვლელობას მომავალშიაც. ამ ნაირათ, გადადის ერთხელვე შემუშავებული აზრი მამიდან შვილზე, შვილიდან შვილიშვილზე და მთელ ჩამომავლობაზე მემკვიდრეობითი კანონის ძალით.

ყველასათვის აშკარაა, რომ—უკეთ ადამიანი ცდილობს დედაზე ცუდად არაფერი დასწეროს და ამით მკითხველების ზიზღი არ დაიმსახუროს, მით უმეტეს სიფთხილე მართებს მას ისეთი რამ არ ჩაუნერგოს ახალგაზდობას თავში, რაც მათ სულიერ-ხორციელათ გაათახსირებს და საზოგადოებრივ განვითარებასაც შეაფერხებს.

ეს ასეა. ეს ყველასათვის აშკარაა და თავდაპირველათ ეს ყოველმა რიგიანმა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, მაგრამ იცის კი ეს ყველამ; ან თუ იცის—მოქმედობს ამ შეხედულობის თანახმათ?

ვნახოთ:

ამას წინათ მე და ჩემი მეგობარი ქალაქის ბაღში ვისხედით (ქუთაისში) ერთ პატარა მაგიდასთან და ღამის სიმშვენიერით და მაცოცხლებელი გრილი ჰაერით ვსტკბებოდით. გავიხედეთ და ხის ჩრდილს ერთი 12—13 წლის ყმაწვილი გამოეყო და ჩვენი სტოლისაკენ გამოემართა. სანამ ჩვენთან მოვიდოდა—ჩვენ დათვალიერებაც კი მოვასწარით მისი. ყმაწვილს შავი ბლუზა-შარვალი ეცვა და თავზე შეცვეთილი ნიშნიანი შავი ქუდი ეხურა. რამდენიც გვიახლოვდებოდა, თავი თანდათან დაბლა ექინდრებოდა. ეტყობოდა სირცხვილი სტანჯავდა. ვინ იცის—იქნებ ხის უკანაც დიდხანს იდგა, სანამ წამოსვლას დააპირებდა! მოსვლისას ყმაწვილმა თავი მაღლა ასწია. სახე გაფითრებული ჰქონდა და, თუ ფანრის სასინათლემ შეცდომაში არ შემიყვანა, თვალებსაც რაღაც არა ჩვეულებრივი მძიმე გამომეტყველება ემჩნეოდა. მოსვლისთანავე ბავშვმა სამიოდ დაკეცილი ქღალდი დასდო ჩემ წინ და აბნეულათ რაღაც ლუღლუღი დაიწყო. ავიღე ერთი ქაღალდი და შემდეგი წავიკითხე: „ეძლევა მოწმობა ესე ქუთ. სამოქალაქო სკოლის პირველი კლასის მოწაფეს შ—ძეს მას შინა, რომ აღნიშნული მოწაფე კარგათ სწავლობს, ხოლო სიღარიბისა გამო ვერ შესძლო სასწავლო ფულის—18 მანეთის გადახდა. სასწ. გამგეობამ მას დანარჩენი აპატივა—შემოსატანი-ღა დარჩა მხოლოთ 6 მან., რისთვისაც დახმარებას სთხოვს საზოგადოებას“. მეორე ქაღალდი აღმოჩნდა საკლასო დამრიგებლის მოწმობა და მესამე—პოლიცმეისტერის მოწმობა—ორივე ადასტურებდა ბავშვის სიღარიბეს.

ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც დავრწმუნდით, რომ ექვსი მანეთის გულისათვის მოსწავლე აშკარა მათხოვრათ გაეხადათ. ცალკე გვიკვირდა: ნუ თუ სასწ. მთავრობამ ვერ შესძლო ბარემ მთლათ გაენთავისუფლებია მოსწავლე ექვსი მანეთის ვალისაგანაც ან და ნუ თუ ერთი საქველმოქმედო წარმოდგენა ან საღამო ვეღარ მოახერხა გაემართა, რომ მოსწავლისთვის ასეთი დამცირება და ზნეობრივი ტანჯვა თავიდან აეცილებია? ან იქნება შკოლის მთავრობა ფიქრობს, რომ ის მოსწავლე რიგიან მოქალაქეთ ივარგებს, რომელსაც პირველი კლასიდანვე მათხოვრობას მიაჩვევენ? ეს დაუჯერებელია, მაგრამ ამავე დროს სინამდვილეც..

სამწუხაროთ, ჩვენ ფული არ ამოგვაჩნდა და ჩემმა მეგობარმა მხოლოდ შაურიანი მისთავაზა მათხოვარ-მოსწავლეს. ის მეორე მაგიდასთან მივიდა, იქიდან მესამესთან. აქ ქაღალდებიც კი თავზე გადააყარა ლუდის სმით გატაცებულმა მანდილოსანმა... ამ შემთხვევამ ჩვენ კიდევ მეტათ აგვაღელვა და ბაღიდან გავედით.

ნუ თუ ასეთი სურათის მოწმე კიდევ უნდა გავხდეთ? **დ.**

პროვინციის ქრონიკა

—

ქუთაისი. ბავშვის დაკვნა. ამ დღეებში რკინის გზის მახლობლათ პატარა ყმაწვილს წინ ცოფიანი ძაღლი შეეფეთა. ბავშვმა ქუჩიდან გადახვევა ვერ მოასწრო. ძაღლმა ბავშს თავზე უკბინა და შუბლის კანი შემოაღეჭა. დაკბენილი ქალაქის საავათმყოფოში გაგზავნეს.

ექსკურსიანტების დაბრუნება. ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოსწავლეები ექსკურსიიდან უკვე დაბრუნდენ. მოსწავლეები გზაში დარჩენილან ხუთმეტი დღე და შავი ზღვის ნაპირზე მდებარე შესანიშნა-

ვი ადგილები თითქმის სულ დაუთვალიერებიათ. მოსწავლეებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იალტის მიდამოებს და ზღვას. მოსწავლეებს თან ახლდა სკოლის გამგე ბ. ალ. დავ. შარაშიძე.

უბედური შემთხვევა. რიონში ბანაობის დროს დაიხრჩო ვინმე ლოლაბერიძე. ლოლაბერიძე საბანაოთ ჯაჭვის ხიდთან ჩასულა მდინარის პირზე, მაგრამ წყალს მოუტაცნია და წაუღია. დამხრჩვალი 23 წლისაა და გადასახადის მკრეფათ ყოფილა ჯაჭვის ხიდზე.

ზუბოვი პასუხისგებაში. ყოფილი პოლიცმეისტერი ზუბოვი მთავრობას პასუხისგებაში მიუცია. მას ბრალათ ედება თანამდებობის ასრულების დროს სხვადასხვა უკანონო მოქმედების ჩადენა. საქმე გაირჩევა ქუთაისის საოლქო სასამართლოში—ნ სექტემბერს.

წიგნები ქალ. სამკითხველოში. ერობის საკითხმა დღეს ჩვენში საზოგადოების ყურადღება მიიქცია: ბევრი მოწადინებული, რომ ერობის საკითხს გაეცნოს, მაგრამ კერძო წიგნის მაღაზიებში ამის შესახებ არაფრის შოვნა არ შეიძლება. ქალაქის სამკითხველოში კი ერობის შესახებ სამიოდ თხელი წიგნი სძევს და ისიც უვარგისი. საჭიროა ქალაქის მამებმა ამ გარემოებას ახლავე ყურადღება მიაქციონ და მკითხველთა მოთხოვნილება რამოდენიმეთ მაინც დააკმაყოფილონ. თორემ სამკითხველოს მზრუნველს ბ. ს. ქ-ნს თუ უცადეს, სამკითხველო ალინიშნული ხასიათის წიგნების შეძენას მგონი ერობის შემოღების შემდეგაც ვერ ეღირსოს.

დაპატიმრება. ამ დღეებში აქ ჩამოიყვანეს ახლათ კურს დასრულებული იურისტი გიორგი გორდეზიანი. ამ უკანასკნელს თფილისში ნდომებია ვექილის თანაშემწეთ ჩარიცხვა. ხარკოვიდან დაბრუნებისას პოლიციაში თხოვნა შეუტანია, რომ პოლიტიკური კეთილ-საიმედობის მოწმობა აელო. თვითონ ცოლით რაჭაში წასულა. რაჭის ადგილობრივ ადმინისტრაციას მიწერილობა მიუღია თფილისიდან: გორდეზიანი შეიპყარით და თფილისში ჩამოიყვანეთო. ადმინისტრაციას განკარგულება შეუსრულებია. დაპატიმრებული გორდეზიანი თფილისში წაიყვანეს.

რეზიზორის მოდიდინი. ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა დღე-დღეზე მოელის რევიზორს—საკანტრო-ლო პალატიდან ფულების შესამოწმებლათ და ოლქიდან—ფოშტის საქმეების სარევიზიოთ.

—

ქ. ოზურგეთი. ამ დღეებში ჯურუყვეთის სიზოგადოებაში გაიგზავნა ეგზეკუცია, იქ მომხდარ მკვლელობის გამო. როგორც ამბობენ, ეგზეკუცია ჯურუყვეთში დაჰყოფს მანამდე, სანამ გიგინეიშვილის მკვლელს არ გასცემს საზოგადოება.

— 14 ამა ივლისს, ხვარბეთის საზოზოგადოებაში, წყალში ნახეს ადგილობრივ მცხოვრებს თოიძის მეუღლის დამხრჩვალი გვამი. ბოროტ-მომქმედს, როგორც სჩანს, ქალისთვის ყელში თოკი წაუჭერია და შემდეგ წყალში გადაუგდია.—ხვარბეთიდან მოსულებმა ამის გამო შემდეგი გვიამბეს: თვით თოიძე,—მეუღლე ქალისა, ორი დღეა, რაც სააგარაკოთ წასულა, ქალი იმავე საღამოს მეზობლისას მისულა რაღაც საქმეზე და ღამეზნელს სახლში ბრუნდებოდა, გზაში გზაში ბოროტ-მომქმედი დახვედრია და საზიზღარი მკვლელობა ჩაუდენია. თუ ვიჩაიდინა ამგვარი სიმხეცე დღემდე გამოურკვეველია. ეპვით რამოდენიმე პირიც დაიპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

—ქალაქის თავი ბებურიშვილი ავათმყოფობის გამო 13 ამა ივლისს ერთი თვის „ოტპუსკით“ დასასვენებლათ წავიდა.

— აგერ სამი თვე სრულდება, რაც წვიმა არ მოსულა. გლეხობა სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, რადგან იცის, რომ ამგვარი ხანგრძლივი გვალვები სანუგეშოს არას უქადის. მდინარეები დაშრა, წისქვილები უწყლოთ ველარ მოქმედებენ. დღისით სიცხე 40—41 გრადუსამდე ადის. ამგვარი გვალვები ჯერ თურმე არავის ახსოვს.

— თუმცაღა ქალაქის საბჭომ კარგა ხანია, რაც დაადგინა (მხოლოთ „სიტყვით“) ამბულატორიის მოქმედების გახნახლება, მარა დღემდე არაფერი სჩანს ამისი, და მომავალშიაც ჩვენ სკეპტიკურათ ვუყურებთ ამ საკითხის განხორციელებას, ვინაიდან ვიცით ჩვენი „მუნიციპალიტეტის“ „საქმიანობა“, რომელიც ასე „პირნათლათ“ ასრულებს თავის დაპირებებს.

— რადგან საზღვარ-გარეთ სიმინდის გაზიდვა შეწყდა, ამისთვის დღეს ფუთი სიმინდი ფასობს 60—65 კაპ. ნაცვლათ 75—80 კაპ.

— როგორც აგვარაკ ბახმაროდან ჩამოსულები გადმოგვცემენ იქ თურმე სხვადასხვა გადამდები სენი გაჩენილა, მაგ. სკარლატინა, მუცელა და სხვა.

— ამ დღეებში ქალაქის თვითმართველობამ თფილისის ქალაქის თავის მოადგილეობაგან მიიღო პირი შუამდგომლობისა თფილისის გუბერნატორის სახელზე კავკასიის ნამესტნიკის წინაშე საშვამდგომლოთ, რათა ნება მიეცეს ქალაქის მოურავებს შეიკრიბონ ქალ. თფილისში ამა წლის სექტემბერტში, კავკასიაში მომავალ სარეობო რეფორმების შესახებ მოსალაპარაკებლათ და სთხოვს ქალაქის თვით-მმართველობას დაიცას ადგილობრივ სათანადო მთავრობის წინაშე ხსენებული შუამდგომლობა.

კორესპონდენციები

ნიგოითი (გურია) 4 ივლისს ი. აროშიძის შესახებ ამორწყულმა 12 კაცმა მოახდინა სახზაკდო ურიდობა, რომ გამოეძებნათ საშვალება მოსალდნელი სისჯელის თავიდან ასაცილებლად. ურიდობის ხალხი ბდომათ დაესწრო. უგელს დიდი უომელობა ეტუობოდა. ბოდის იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ დასდგინეს „ბრიგოდორი“, რომლის ძალითაც ნიგოითის **სახზაკდოება ვალდებულია** 4 ივლისიდან უოველივე ზომა მიიდონ აროშიძის შესაშორობად, ანუ ბოდიცის მისი ბინა და ავრეთვე უგელაის ბირები, რომლებიც აროშიძეს რამე ხელს გაუწყობენ (დამის გათევით თუ სიწმიდის წმევით) ესეც ნიც გადასცენ ბოდიცის. ეს „ბრიგოდორი“ მეორე დღესვე მდ. დავრენტი ითხოვს ხედით უკვე ბ'დ'ეც ბოქიულს, რომელიც დროებით მოსალდნელი სისჯელის შეჩერებას შეკბიდა, გასთავისუფლა ავრეთვე უგელა აროშიძის შესახებ დატუეველებული ბირები. სახზაკდოების დიდი უკან დახევა ეტუობა ენატნიები თანდათან მრავლდებიან. სრული ორი თვეა, რაც ჩვენში წვეთი წვიმა არ გვინახავს. რის გამოც ძალიერი სიცხეები დაიწირა. ჯერ-ჯერობით ამის გამო მოსავალს ტუდი ბირი უწანს. ნაადრევი ენების სულ გადახმა. ავადმუოფობა სოფელში ძალიერ ხშირია. ამ ჟამათ იკრიბება დრამა ფული. ისედაც გაძვალტუანებულ ბუნებს ოჯახში არავითარი ნივთი არ დაუტოვეს წაურთმევი. საკვირველი ის არის, რომ წინათაც ვიხდიდით დრამა ფულს, მხოლოდ გიორგობისთვე-ქრისტეშობისთვემდე ასეთი ზომების მიდება არ იცოდენ, მაგრამ ახლა, დრომ ხმარობენ. ენატნიობა იმ ზომამდე მივიდა, რომ ანცობს ბოდიცის ქვეინის სამკითხველოში არა დეკალური წიგნები აწეთით. მხოლოდ რატა ამის შესახებ ბოდიცი მოვიდა, წიგნების ნაცვლათ სამკითხველოში დრამის ფულების გადახდევინებისთვის წანართმევი კარდები, ნოხები, ბადიშები და სხვა ასეთი ნივთები ადმოჩნდა.

—ი.

მშვიდობის მოციქული

ბალახანა. ახლათ შემდგარმა ქართულმა სახზაკდოებამ, რომელმაც ოჯარით აიდო სასუფლისწულო სამრეწველო, ძალიანი ენერგია გამოიჩინა ძველი წესების შემოდებაში. როგორც წინა წერილში ვწერდი, მათ სამი „სმენის“ მაგიერ ორი შემოიდეს, ე. ი. 8 საათის მაგიერ 12 საათის სამუშაო. ეს წესი მაშინ განატხადეს ტარტალჩიკების და მასდიოხჩიკებისათვის, მაგრამ ეხლა მათ მიუმატეს „ბრიმასდის“ მუშებიც, მათაც 12 საათი დაუწეებიეს მუშაობა. სამრეწველოს განაგებს ისევ დეკანოზიშვილი, რომელმაც ძველი მუშების „რაზსტრაიოვკის“ დროს თითქო მონაწილეობა არ მიიდო, თითქო ის არ იყო კომეტი ახალი ამხანაგობის, ნამდვილათ კი, კულისებიდან მოქმედებდა. დაითხოვა შეგნებული მუშები განსაკუთრებით ქართველები.14 ამ თვეს მან მაიდო ახალი მუშები 30-დე კაცი, რომელთა შორის არ გასტარა არავინ გარდა სპარსელ ამშარებისა. არ მიიდო არც ერთი ქართველი და ეს მით უმეტეს, ულმობიერო, რომ ორი სამი თვეა ამ სამრეწველოში ადგილს უცდის რამდენიმე ათეული ქართველი და თავს იჩხენენ მომუშავეების ხარჯზე. ასე რომ, ერთ მომუშავეზე, რომელსაც 22 მანეთი ჯამაგირი აქვს, ორი უმუშევარი მოდიოდა სარჩენათ. დეკანოზიშვილი მათ ეუბნებოდა: „არ მაქვს ადგილი, თორემ თუ გამხნდება მოცტემოთ და ამიტომ იმედი ქონდათ და რომელსაც უარი მიიდეს ეს ისეთი თავხედ დამცემი იყო, რომ თვით „ბურომოი მასტერი“-ც კი (რუსია) კი შეწუხდა ამ სურათზე და უთხრა დეკანოზიშვილს, რომ ერთი ათიოდე ქართველიც მიეყოდოთო. ამაზე დეკანოზიშვილმა უპასუხა: „შენ ჯერ არ გიწვრთვია სიმწრის ოფლი ქართველი მუშებიდან მოუნუბუდი და ამიტომ გეტოდება ესენი, მე კი ვიცნობ და ამიტომაც არ ვდებულობ“-ო.

მუშების სიბეღდნიეროთ, ამხანაგობამ დეითხოვა სამსახურიდან „ჯუშმარიტი“ მიშინისტი. მიზეზი იმის, რომ შეედია „ჯუშმარიტი ქართველები“ ამ „ჯუშმარიტ რუსს“ იყო ინიციდენტი რუს ნაქართან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ეს იყო საბაბი და მიზეზათ კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ „ჯუშმარიტი რუსი“ ძალიან გათამამდა დიდი უფლებების მიცემით და თავის შეიდანათ სრულ ბატონათ გამოაცხადა თავი, რითაც ზარალს ადეევდა სახზაკდოებსაც.

ძალიან სუურადღებოა ამ შემთქნის დათხოვის ფორმა: „ჯუშმარიტმა ქართველებმა“ დაინახეს, რომ „ჯუშმარიტი რუსი“ ხეირს არ მისცემთ არც მათ, მაგრამ დაითხოვონ დღეს ის, ნოქარის გულისთვის, ვისაც გუშინ მთელ თავს სქმეებს ანდობენ და ვისი შემწეობითაც გარეკეს „კრამოლნიკები“,—რადაც უხეირხულათ ეზენათ. მათ მომართეს ხრიკს: იცოდენ რა, რომ მუშების სძულდათ მემანქანე, მიმართეს მათ თუ რომელი ერჩიათ, სემანქანე თუ ნოქარი. რაკიდრ მწარე სიცილს იწვევს ეს ფაქტი: გუშინ მემანქანე დებუდობს და ითხოვს მუშების და დღეს მუშებს ეუბნებიან, რომ მემანქანე შენ უნდა დაითხოვო, ეს თქვენ უფლებას შეადგენსო. დეკანოზიშვილდიდიანის კომპანია კონსტიტუციას აცხადებს, მაგრამ მხოლოთ მაშინ, რაც ვინმე „ტუზის“ თავიდან მოშორება უნდათ და თან ეხათრებათ. მუშებმა მოახდინეს კრება და აწერდენ ხელს ნოქრის სასარგებლოთ, მაგრამ მაშინვე ამხანაგებმა შეაჩერეს, აუხსნეს საქმე რაშიაც იყო. საქმის ასეთი მოკახსკებით დეკანოზიშვილი ორ კურდღელს იჭერდა: ერთი მხრით მემანქანეს უსაუკეთუროთ იციდებდა და მეორეს მხრით შუდს აკეთებდა თავთან მუშებს და არიოდე დარჩენილ ქართველებს შორის. საქმე იმაშია, რომ მემანქანეს კაშუშებათ უყვდა ბანდა, რამდენიმე კაცი თავისი და ამათ მოთრეს აკიტატია თათრებში ქართველების და რუსების წინააღმდეგ და ეუბნებოდენ: „მათ მიტომ არ უნდათ მემანქანე, რადგან ის ჩვენებს—თათრებს დებულობს და იგენს უარს ეუბნებაო“. რადესაც მუშებმა უარი თქვეს „ხაზეინთა“ სურვილის ასრულებაზე, ეს აკიტატია თავის თავთ მოისპო და ხაზეინებიც იძულებული გახდენ მასკა მოეხსნათ. მემანქანეს გაჰქვეს მისი ბინდაც და აწმიარათ, სამრეწველოებიც გაიწმინდა.

ღალლა.

თეატრი და ხელოვნება

ვერის სახალხო აუდიტორია. თვეზე მეტია, რაც ვერის აუდიტორიაში წარმოდგენების გამართვა შეწყდა. დღეს მხოლოდ ხანდახან კერძო წარმოდგენები იმართება.

მთელი სეზონის განმავლობაში—სექტემბრიდან დაწეებული—ქართული წარმოდგენები თითქმის ყოველ შაბათს იმართებოდა. ხალხი უკანასკნელ ხანებამდე ბდომათ ესწრებოდა, ხოლო უკანასკნელ ხანებში ტოტათი იკდო...

რამდენათ შეასრულა თეატრმა თავის მოვალეობა?

ამაზე მაინც და მაინც დიდ მაღდობას ვერ გეტევით. მაგ. სეზონის გახსნის პირველ თვეებში სქმეები კარგათ მიეყვდათ: ამზადებდენ ბიესებს რიგიანათ, კარგი ჭქონდათ რეჟერტუარიც, მაგრამ ბოდო ხანებში როგორც ერთი, ისე მეორეც შესუსტდა. სერიოზული ბიესების ადგილი ვოდევილ-კომედიებმა დაიჭირეს, მოამზადებულათ კამოსდის ნაცვლათ, უმეტეს შემთხვევაში როდებიც არ იცოდენ და სხ... რასაკვირველია, ამათში იყო კამოანაკლიც, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

უმთავრესი, რაც სქმეს ხელს უშლიდა, ეს იყო ხელიანი რეჟისორის უქონლობა. როგორც ბ. სიფერშტეინ, ისე ბ. იორდანოვიც ამ მხრით ისე სუსტები აჩანან, რომ გვეკვირს, რათ კისრულობდენ თვით ისინი, მეოდნენი თავიანთ ძალდანით, სხვადასხვა სცენაზე ასეთ ბესუხის საგებ საქმეს... შემდეგ აღსანიშნავია ეგრეთ წოდებული წვრილმანი ინტრიგანობა, რომლის გამო არ იყო შეთანხმებული მოქმედება და სხ...

ჩვენ ეს ნაკლი იმისთვის აღვნიშნეთ, რომ მომავალისთვის ესენი აუცილებლათ აცილებულ იქნეს თავიდან.

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, საქმე ვერ მოაწყობს ხეირიან ნიადაგზე და ხალხიც, რომელიც დღეს მას ეტანება, აუცილებლათ ზურგს შეაქცევს მათ.

ამიტომ ჩვენ გურჯეთ ბატონებულ სცენის მოყვარეთ, რომ საქმის მოწყობას შეუდგენ აქედანვე, რათა თავის დროზე უოველივე მზათ იყოს.

ბერგელი, რასაც უწენარეს უოველისა უნდა მიექცეს ყურადღება, ეს არის რეჟისორი. ნუ იქნება ეს თუნდ ბრწყინვალე არტისტი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იყოს კარგი რამდენიმეთ მაინც განათლებული და საქმის მოყვარე, ამასთან ერა უნარიანი. ხელოვნ უნდა შესდგეს სცენის მოყვარეთა დასი, რომელშიაც, რასკვირველია, შესაძლებელია, მოხდეს ინტელიგენტური ძალების, ამის შემდეგ შემუშავებული იქნება რეპერტუარი, კარგი ბიესებისაკენ.

დარწმუნებული ვართ, თუ საქმე ასე მოეწყობა სახალხიც მათთან იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი... არა გვგონია.

გასულ შაბათს გამართული წარმოდგენა—„კონცერტი“(?) მოკლებული იყო ყოველივე ხელოვნებას. წარმოდგენეს: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდენ“. გვარიანი იყო ბ. მეტრეველი, დანარჩენები კი...

სკონცერტო განუოფილებს, თუ არ მივიდებთ სახეში ბატარა ძმებ დედვაძეების მანდილინზე დაკვრას, მეტათ უფერული, უოველივე ინტერესს მოკლებული იყო. აქაც და სახელხო თეატრიაც, თითეული ოთხჯერ აწეველებდა.. დექსებს.

—ი.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

განცხადებანი

სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—4

ალმეზა

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—2

პროვოდნიკის

ამხანაგობა რიგაში

1888

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა-ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

სავარცხლები რქის რეზინისაგან.

№ 4.

ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო

№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“

(25—5.—27).